



IBSU

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

კლუბების საქმიანობის წესი

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს მიერ 28/01/2016 წ. - გადაწყვეტილება №1 (დანართი №1)

დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული ინსტრუქცია წაკითხული და მიღებულია ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების განხორციელებას.

მოამზადა:	კლუბებისა და საზოგადოებების სამსახური	
შეამოწმა:	ხარისხის მართვის კომისია	
დაამტკიცა:	მმართველი საბჭო	

დოკუმენტის ნომერი: IBSU.R11I01.G

განახლებულია: N/A

შეუმოწმებელი ვერსია

შემოწმებული ვერსია

დამტკიცების

თარიღი: 28/01/2016

შხსუ-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ დოკუმენტაციის ჩამონათვალში აღნიშნულ დოკუმენტს აქვს საბოლოო რევიზიის ნომერი.

ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში ხარისხის მართვის კომისიას წარუდგინეთ დოკუმენტის ცვლილებების მოთხოვნის ფორმა.

შინაარსი

შეტანილი ცვლილებები:.....	3
ცვლილებების ნუსხა	4
მუხლი 1. მოქმედების სფერო და ფარგლები	5
მუხლი 2. ტერმინთა განმარტება	5
მუხლი 3. კლუბის შექმნის წესი	5
მუხლი 4. კლუბის საქმიანობის ზოგადი წესი	Error! Bookmark not defined.
მუხლი 5. გაწევრიანება	6
მუხლი 6. კლუბის სტრუქტურა	6
მუხლი 7. კლუბის პრეზიდენტი	6
მუხლი 8. კლუბის ვიცე - პრეზიდენტი	8
მუხლი 9. კლუბის წევრობის შეწყვეტის წესი	8
მუხლი 10. კლუბის გაუქმება	8
მუხლი 11. ძალაში შესვლა	8
მუხლი 12. შესრულებაზე ზედამხედველობა.....	9

შეტანილი ცვლილებები:

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	№	თარიღი
1.			

თავდაპირველი ვერსია: [28.01.2016](#)

ცვლილებების ნუსხა			
#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
01			

მუხლი 1. მოქმედების სფერო და ფარგლები

- 1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „შოსუ“) კლუბების სტრუქტურას, მათი შექმნის, საქმიანობის, გაწევრიანებისა და გაუქმების წესებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

- 2.1. **სამსახური** - შოსუ-ს შემადგენლობაში არსებული სტრუქტურული ერთეული - კლუბებისა და საზოგადოებების სამსახური.
- 2.2. **კლუბი** - სამსახურის ზედამხედველობის სფეროში არსებული სტუდენტების გაერთიანება კონკრეტული ინტერესის სფეროში.
- 2.3. **ინიციატორი** - შოსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.
- 2.4. **მრჩეველი** - შოსუ-ს ადმინისტრაციული/აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რომელიც კლუბს, მისი საქმიანობის გარშემო, უწევს კონსულტაციებს.

მუხლი 3. კლუბის შექმნის წესი

- 3.1. კლუბის შექმნა ხდება ინიციატორის მიერ, რომელიც კლუბის შექმნის შემდეგ ხდება კლუბის პრეზიდენტი.
- 3.2. კლუბის მიზნები განისაზღვრება ინიციატორის მიერ. იგი შესაბამისობაში უნდა იყოს შოსუ-ს საგანმანათლებლო პოლიტიკასთან და შოსუ-ს ეთიკის კოდექსთან.
- 3.3. ახალი კლუბის სახელწოდება/მიზნები არ უნდა იმეორებდეს/ფარავდეს უკვე არსებული კლუბის სახელწოდებას/მიზნებს.
- 3.4. კლუბის შექმნის მიზნით, ინიციატორი განცხადებით (R11I01F01EG) მიმართავს სამსახურს. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ინფორმაცია მრჩევლის შესახებ შევსებული ფორმის (R11I01F03EG) სახით.
- 3.5. კლუბის პოტენციურ წევრების რაოდენობა არ უნდა იყოს 15-ზე ნაკლები.
- 3.6. კლუბის შექმნის შესახებ ინიციატორის განცხადებას განიხილავს სამსახური.

მუხლი 4. კლუბის საქმიანობის ზოგადი წესი

- 4.1. კლუბს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო - შემეცნებით აქტივობებში.

- 4.2. კლუბი ვალდებულია, შეავსოს ყველა საჭირო ფორმა ღონისძიების ჩასატარებლად.
- 4.3. კლუბებმა ხელი არ უნდა შეუშალონ ერთმანეთს ღონისძიებების განხორციელებაში.
- 4.4. კლუბები თავის საქმიანობას ახორციელებენ სამსახურთან შეთანხმებით.

მუხლი 5. გაწევრიანება

- 5.1. კლუბში გაწევრიანება შეუძლია შხსუ-ს აქტიური სტატუსის მქონე ნებისმიერ სტუდენტს.
- 5.2. კლუბში გაწევრიანებისათვის სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს შევსებული სარეგისტრაციო ფორმა (R11I01F02EG).

მუხლი 6. კლუბის სტრუქტურა

- 6.1. კლუბის შემადგენლობაში შედის: კლუბის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ი, კლუბის წევრები.
- 6.2. კლუბის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს კლუბის საქმიანობას და წარმოადგენს მას მესამე პირთან ურთიერთობაში.
- 6.3. კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ეხმარება პრეზიდენტს კლუბის ხელმძღვანელობაში. პრეზიდენტის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის დროს ვიცე-პრეზიდენტი ახორციელებს მის უფლებამოსილებებს.
- 6.4. კლუბში ერთზე მეტი ვიცე-პრეზიდენტის არსებობის შემთხვევაში, კლუბის პრეზიდენტი თავად განსაზღვრავს, მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, კლუბის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ ვიცე-პრეზიდენტს.
- 6.5. კლუბის წევრი მონაწილეობას იღებს კლუბის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.

მუხლი 7. კლუბის პრეზიდენტი

- 7.1. კლუბის პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს ერთდროულად ერთზე მეტი კლუბის ხელმძღვანელი.
- 7.2. კლუბის პრეზიდენტის ფუნქციები:
 - 7.2.1. დაესწროს სამსახურის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს;

- 7.2.2. 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე მიმართოს სამსახურს ინიციატივით ღონისძიების ჩატარების შესახებ;
 - 7.2.3. სულ მცირე თვეში ერთხელ მოაწყოს შეხვედრები კლუბის წევრებთან;
 - 7.2.4. წევრის მიერ 9.1.2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევისას გარიცხოს იგი კლუბიდან;
 - 7.2.5. ღონისძიების ჩატარებამდე სულ მცირე 5 სამუშაო დღით ადრე სამსახურის უფროსს წარუდგინოს ღონისძიების ჩასატარებლად საჭირო საქონლის/მომსახურების შესყიდვის მოთხოვნის ფორმა;
 - 7.2.6. ჩატარებული ღონისძიების ხარჯების ანაზღაურებისათვის სამსახურს წარუდგინოს ღონისძიებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტი (მათ შორის ინვოისი) ღონისძიების ჩატარებამდე 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე.
 - 7.2.7. ყოველი სემესტრის დასაწყისში სამსახურს წარუდგინოს ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა;
 - 7.2.8. ღონისძიების ჩატარებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში სამსახურს წაუდგინოს ჩატარებული ღონისძიების ანგარიში;
 - 7.2.9. ყოველი სემესტრის დასაწყისში სამსახურს წარუდგინოს კლუბის წევრების განახლებული სია (არსებობის შემთხვევაში).
- 7.3. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა არის კლუბის დაარსებიდან ერთი წელი. ამ პერიოდის შემდეგ, კლუბის წევრები ხმათა უმრავლესობით ირჩევენ ახალ პრეზიდენტს ერთი წლის ვადით.
- 7.4. ახალი პრეზიდენტი უფლებამოსილია დანიშნოს ვიცე - პრეზიდენტ(ებ)ი სამსახურთან შეთანხმებით.
- 7.5. კლუბის პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:
- 7.5.1. პირადი განცხადება;
 - 7.5.2. არასაკმარისი მიზეზით სამსახურის მიერ ორგანიზებული შეხვედრის 3 (სამჯერ) გაცდენა;
 - 7.5.3. სამსახურთან შეუთანხმებლობა;
 - 7.5.4. კლუბის წევრთა 70%-ის დასაბუთებული ინიციატივა.
- 7.6. წინამდებარე წესის 7.5.2 – 7.5.1 პუნქტების საფუძველზე პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტას ახორციელებს სამსახური.

მუხლი 8. კლუბის ვიცე - პრეზიდენტი

- 8.1. კლუბის ვიცე-პრეზიდენტი არის შხსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.
- 8.2. კლუბის ვიცე-პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს ერთდროულად ერთზე მეტი კლუბის ვიცე-პრეზიდენტი.
- 8.3. კლუბის ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:
 - 8.3.1. პირადი განცხადება;
 - 8.3.2. პრეზიდენტთან შეუთანხმებლობა.
- 8.4. წინამდებარე წესის 8.3.2 პუნქტების საფუძველზე ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტას ახორციელებს პრეზიდენტი.
- 8.5. ინფორმაცია ვიცე - პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ ეცნობება სამსახურს.

მუხლი 9. კლუბის წევრობის შეწყვეტის წესი

- 9.1. კლუბის წევრობის შეწყვეტის საფუძვლებია:
 - 9.1.1. პირადი განცხადება;
 - 9.1.2. საპატიო მიზეზის გარეშე კლუბის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიუღებლობა.

მუხლი 10. კლუბის გაუქმება

- 10.1. კლუბი გაუქმების საფუძვლებია:
 - 10.1.1. კლუბის წევრთა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კლუბის გაუქმების შესახებ;
 - 10.1.2. სემესტრში მინიმუმ 1 (ერთი) ღონისძიების ჩაუტარებლობა.
- 10.2. წინამდებარე წესის 10.1.1 პუნქტში მითითებული საფუძვლით კლუბის გაუქმების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეწოდება სამსახურს.
- 10.3. წინამდებარე წესის 10.1.2 პუნქტში მითითებული საფუძვლით კლუბის გაუქმება ხდება სამსახურის ინიციატივით.

მუხლი 11. ძალაში შესვლა

- 11.1. წინამდებარე წესი ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.

მუხლი 12. შესრულებაზე ზედამხედველობა

- 12.1. წინამდებარე წესის შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება კლუბებისა და საზოგადოებების სამსახურის მიერ.

უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს შხსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.

შხსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს. საზოგადოების ყველა წევრს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს უკეთესი განათლება, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, გვარის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, მენტალური, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.

გამოსცა:

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, თბილისი, 0131
საქართველოს რესპუბლიკა
www.ibsu.edu.ge
contact@ibsu.edu.ge

